საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/4075
10/09/2025

4075-01-2-202509101618

ი/მ ნათია გოგიტიძეს (პ/ნ 61001074429)
მის: ხელვაჩაურის რაიონი, ს. ქვედა სამება, მე–10 ქუჩა, N 1 ბინა N 9
ელ-ფოსტა: gogitidzenatia83@gmail.com
ტელ:596 55 55 35

გაცნობებთ, რომ სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) თავმჯდომარის 2025 წლის 8 სექტემბრის №04/1032 ბრძანებით, მოქალაქე 2025 წლის 26 აგვისტოს №01/5061 განცხადების საფუძველზე, სააგენტომ დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის - ი/მ ნათია გოგიტიძის (პ/ნ 61001074429) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

ზემოაღნიშნული განცხადების მიხედვით, მომხმარებელმა ი/მ ნათია გოგიტიძისგან , ფეისბუფ გვერდის მეშვეობით (ლინკი: https://www.facebook.com/profile.php?id=61562788959579&locale=ka_GE) შეიძინა სამკაულები, რომელიც აღმოჩნდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსაბამო. მომხმარებელმა მიმართა მოვაჭრეს ნივთის შეცვლის მოთხოვნით, რაზეც მოვაჭრეს რეაგირება არ მოუხდენია.

სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს:
ა)ჰყავდეს წარმომადგენელი;
ბ) სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე;
გ) გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით;
დ) მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება;
ე) განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ.

პროცედურის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს, აიღოს პირობითი ვალდებულებები კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად (შემდგომ – პირობითი ვალდებულებები).

კანონის 33-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, საქმის შესწავლის დასრულებამდე სააგენტო განიხილავს კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად მოვაჭრის მიერ შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ მოვაჭრის მიერ ნაკისრი პირობითი ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ იარსებებს კანონის

სავარაუდო დარღვევის რისკი, იგი დაეთანხმება შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს და საქმის შესწავლას კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე დაასრულებს.

ზემოხსენებულ შემთხვევაში, შემთხვევაში სააგენტო მოვაჭრესთან დებს წერილობით შეთანხმებას ვალდებულებების შესრულების პირობებისა და ვადის შესახებ. ამის თაობაზე ინფორმაცია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნდება.

პროცედურის მე-7 მუხლის საფუძველზე სააგენტო საქმეს შეისწავლის საქმის შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა, რის შესახებაც ეცნობება როგორც განმცხადებელს, ასევე მოვაჭრეს.

პროცედურის მე-17 მუხლის შესაბამისად, საქმის შესწავლის შედეგად, სააგენტო წერილობით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურების შესახებ;

ბ) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ;

გ) მოვაჭრის მიერ პირობითი ვალდებულებების აღების შემთხვევაში დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე საქმის შესწავლის დასრულების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გიგზავნით საქმის მასალებს და გთხოვთ, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე, 29-ე, 30-ე, 32-ე მუხლებისა, პროცედურის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-10 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვპუნქტის შესაბამისად, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოგვიდგინოთ შემდეგი ინფორმაცია შესაბამის დამდასტურებელ მტკიცებულებებთან ერთად:

- პოზიცია განცხადებაში აღწერილ გარემოებებთან დაკავშირებით;
- მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების დადგენილი სტანდარტის შესახებ;
- ხელშეკრულებაზე უარის თქმის წესის და პირობების შესახებ;
- კანონისმიერი (არსებობის შემთხვევაში კომერციული გარანტიის შესახებ) გარანტიის უზრუნველყოფის მიზნით, ნაკლიანი საქონლის შეცვლა/შეკეთება ან/და დაბრუნების პირობების შესახებ;

დანართი: „14” ფურცელი

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/1032
08.09.2025

ბრძანება

1032-01-4-202509081136

მოქალაქე **განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე**

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტის და მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-6 მუხლის 1-ელი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. მოქალაქე 2025 წლის 26 აგვისტოს №01/5061 განცხადების საფუძველზე, დაიწყოს საქმის შესწავლა მოვაჭრე - ი/მ ნათია გოგიტიძის (პ/ნ 61001074429) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
3. საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე ეცნობოთ მხარეებს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 5 სექტემბრის №03/1264 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე